ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/22-067

ქ. ბათუმი 2022 წელი

ერთის მხრივ **შპს ,,სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **სულხან ევგენიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს პროვაიდერ.ჯი-PROVIDER.GE** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი **სალომე კიკვაძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის **ჰიგიენური საშუალებების** (შემდგომში–საქონელი) მიწოდება.
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი აღწერა მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
CPV – 39800000; 33700000; 39500000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **2086.20** (ორი ათას ოთხმოცდაექვსი და 20 თეთრი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დღგ-სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სააანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.
4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალურ რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 % ოდენობით.

8.2 თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 დღეს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გამოყენებული სამართალი

11.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს პროვაიდერ.ჯი-PROVIDER.GE**
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	ჯავახიშვილის ქ.55
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 445427119
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს ,,საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE85BG0000000929934400
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს პროვაიდერ.ჯი-PROVIDER.GE**
დირექტორი	**დირექტორი**
სულხან ევგენიძე	

Salome Kikvadze 61001050902

Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2022.04.29 16:31:10

ხელშეკრულება 22-067-ის დანართი N1

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	პროსალი-შუშის საწმენდი ზღვის ბრიზი	ცალი	50.00	2.90	145.00
2	Domestos დომესტოსი 810gr	ცალი	80.00	3.70	296.00
3	მაგიდის ტილო მინი-ნაჩვრეტიანი 3ცალიანი	ცალი	60.00	2.50	150.00
4	მიკროფიბრი საწმენდი ტილო 60 x 80 /1366/ (486307490800)	ცალი	100.00	4.50	450.00
5	4-ACE მათეთრებელი 4 ლტ *4	ცალი	30.00	9.00	270.00
6	ACORD ღრუბელი 5ც. *180	ცალი	50.00	1.80	90.00
7	PROSALI-თხევადი საპონი - aloe vera 5 კგ	ცალი	20.00	10.00	200.00
8	ჰაერის გამწ. იაპონური ალუბალი 300მლ	ცალი	20.00	4.00	80.00
9	იეტიში აბაზანის საწ. სითხე 550 გრ*24	ცალი	60.00	2.10	126.00
10	ჯოხი რკინის (TP004) FT721 8697425887211;868313500088	ცალი	6.00	5.20	31.20
11	მოპის სათადარიგო თავი 50 სმ პლასტმასი 8699947591508	ცალი	6.00	8.00	48.00
12	მოპის სათადარიგო მაკარენა 50 სმ 8680817044668	ცალი	20.00	10.00	200.00
	სულ ჯამი				**2086.20**

შპს „სანდასუფთავება“
დირექტორი

სულხან ევგენიძე

შპს პროვაიდერ.ჯი-PROVIDER.GE
დირექტორი

სალომე კიკვაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2022წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი სულხან ევგენიძე და მატერიალურ რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე, ვადასტურებთ, რომ **შპს პროვაიდერ.ჯი-PROVIDER.GE**-სთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №ს/შ22-067, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი

სულხან ევგენიძე

შპს „სანდასუფთავება“-ს მეტერიალური რესურსების

მართვის სამსახურის უფროსი

დავით დევაძე Davit Devadze Подписано цифровой подписью: Davit Devadze Дата: 2022.05.03 17:13:27 +04'00'